

კვირა, 13 მარტი, 1916 წ.



მგოსანი ქალი კნ. ნინო ორბელიანისა (ავადმყოფობის გამო).



ნინო ორბელიანის ქმარი (შუაში) გრიგოლ კონსტანტინეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანი (28 წელიწადია, რაც გარდაიცვალა.



დისწული ნინო ორბელიანის ქმრისა, გენერალ ალლოზიევის ქალი ნინო, მეუღლე გზათა ინჟინერი ლევანდოვსკისა ცხოვრობს პეტროგრადში. ერთად ერთი დამხმარე ავადმყოფ მგოსნისა.

კნ. ნინო ჯამბაკურ-ორბელიანისა

57 წელიწადი შეუსრულდა, რაც კნ. ნინო ორბელიანისა სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობს. მამა მისი იყო შორაპნის მაზრიდან, სოფელ დილიკაურიდან თ-დი სიმონ დავითის ძე აბაშიძე. დედა მისი იყო თ-დ ლუარსაბ თარხნიშვილის ასული. კნ. ნინო ორბელიანის მამა ცნობილი იყო, როგორც სიტყვა მახვილი და მელექსედედა მისი იმ დროის შესაფერად სწავლული და მწიგნობარი ყოფილა და ზეპირად სცოდნია „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც თურმე გაბმულ სიმღერით კითხულობდა. დედის გულენით ნინო ქართულმა მწერლობამ გაიტაცა. პირ-

ველი მისი ლექსი დაისტამბა 1859 წელს. მისი ნაწარმოები მოზრდილ წიგნად რამდენჯერმე გამოიცა. ამ ჟამად იგი მოხუცებული და დაუძლურებული, ქართველ საზოგადოებისაგან ყურადღება მოკლებული სცხოვრობს ქ. თბილისში „ბრისტოლის“ სასტუმროში. ეს რამდენიმე ხანია ავადმყოფობს. ქართველი საზოგადოება და მითუმეტეს ქართველ ქალთა საზოგადოება მოვალეა მსცოვან მგოსან ქალს ხელი გაუწოდოს 57 წლის მოღვაწეობის გულისათვის და ჯეროვანი პატივი სცეს.

ის განყოფილება
ნეტავ ეხლა სადნ ხარ,
და რომელსა მხარესა?
ვის უხიხარ მახლობლად,
ვის უშტერებ თვალებსა?

ვის გულში გააღვიძებ,
გრძნობებს განმაღლებელს?
ვის უხატავ სიყვარულს,
ტკბილსა შეუღარებელს?

იქნება ხალხში მყოფი
სჭკრეტდე ვისმე სახესა?
და მე გავიწყდებოდე,
მით მიგებდე მახესა?

მაშინ მკვდარი მიგოლე,
სოფელს განშორებულნი;
უიმედო, საბრალო,
შენგან დავიწყებულნი.

(როს იხილავ ჩემს საფლავს,
ზედ წარწერილს სახელსა,
მაშინ მოგაგონდები,
იმ საფლავის მნახველსა.

მაშინ კი მრწამს რო იტყვი,
იყო ჩემი ერთგული,
და ამ სოფლით წაჰყვავი
თან ჩემი სიყვარული.

მკვდარი გული იფეთქებს,
და ცრემლად დავიღვრები;
თუმცა კი უსხეულო
მხოლოდ მტკვერი ვიქნები.

შენსა ტრფობას ჩემდამო,
აქვს ესრეთ ძლიერება,
რომ ჩემ ძვალთაც მგონია
დაგიწყონ ხმიერება.

ნინო ორბელიანი.
1884 წ.

ჩემს იდეალს

შორს ვიყო გინა ამ ქვეყანას, შენ მეყვარები, შენ მეწამები,
თუნდ უბედური უძლური ვიყო და მეთვლებოდეს ღლისა წამები,
მაინც არ გიმტრობ არ დაგივიწყებ შენ მეყვარები, შენ მეყვარები.

თუნდა უმართლოდ შენგან დასჯილი, ვიყო მარადის ბნელ სამარესა,
მე თაყვანსა ვსცემ, მიწას ვემთხვევი, სად შენ ფეხს ადგამ იმა არესა,
გინდ შენის ხელით გული გამიპო, დე გაბრაზებით მთხრიდე თვალებსა.

მაინცა მწამხარ, ჩემო იმედო, შენს ნაცვლად ჩავალ მე სამარესა,
თუნდ ამიყვანონ სახრხოზელაზე, კისერზედ მომდონ მსხვილი საბელი,
გულ აჩქროლებულს თვალ დაბნელებულს, მე მენსომება შენი სახელი,

ჩემ სალოცველად, ჩემ დასახსნელად შენ მეგულები და მეყვარები,
ჩემი იმედი და ჩემი ბედი, ჩემი სულთა დგმა და არსებობა,
შენა ხარ, იყავ, იქნები მარად, არ ძალმიძს შენი ოდესმე გმობა,

მე შენ გიგალობ უღონო ენით, უწრთუნელის კალმით მსურს შენი მკობა,
მინამ ვცოცხალვარ, შენით ვსულდგმულე, შენ გლოცავ გეტრფი
არ გაგექცევი,
და თუნდ დამკუწონ არ შეგვინდები, მიწა ვარ მიწად გარდავიქცევი.
1884 წ. დეკემბრის 29-ს.
ნინო ორბელიანი.

ჭ მ უ ნ ვ ა

ოხვრამ და ჭმუნვამ გული ჩემი შემუსრა მწარედ,
ვიგლოვ აწ ბედსა და ვიმყოფი ესრედ მწუხარედ;
ვერსაიდ ვხედავ სანუგეშოს ვერა რა მხარედ,
ვფიქრობ მე მრავალს უიმედოს აზრებს მღუშარედ.

და თან ჰაერი მოჭმუნვნილი მადლევს მე ბანსა,
ნისლებს გარს იხვევს, სიბნელეა და მიხშობს თვალსა,
როინიც წყრომით, მრისხანებით გვივლის აწ გარსა,
მთა და ბორცვნი ქეფს მოსილნი მიახლებს დარდასა.

ღმერთო, ან შენ გთხოვ. მანუგეშე რა ვყო ბედკრულმან,
ამ გვარ ცხოვრებით მოწყენილმან ვით გასძლოს გულმან?
ცისა სიბნელით შეწუხებით ესრედ დახშულმან,
უდროით ზამთრით დაჩაგრულმან და გაყინულმან!

ყვავილთ თოვლთ ქვეშე გამომჯვრეტელს უმზერ მე ჭმუნვით,
სხვისგან დაჩაგრულთ, უიმედოთ ფერ-მკრთალთ თავ-დახრილთ,
ყინვით დაძრულთა, დათრთვილულთა, არ სიბერით ჭკნულთ,
უბედურებით უძლურთ, ყოფილთ და უცებ სნეულთ.

მყის განვიზრახე მათ საშველად მსურდა მოწყვეტა;
შეუბრალებლად დაჩაგრულსა მტანჯავდა ჭკრეტა,
უმჯობესია ხანგრძლივ ტანჯვას რომ სრულად მოსწყდეს
და უსიამოს სოფელს იგი მსწრაფლად განშორდეს.

მაგრამ ეს რა ვსთქვი, რად ავიჩარდი ყმაწვილურადა
მოწყვეტა ვკადრე განვიზრახე მოვსპო მტრულადა?
წალკოტი მკაცრად განმეძარცვა მე მხეცურათა,
მასთან მომესპო მოსვენება პირუტყვეულათა.

გვანებ ასე სჯობს, რომ ნუგეში ჩემ თავსაც მივცე,
ზაფხულის ღრომდის გაუფრთხილდე და ნუგეში ვსცე;
ოდეს მზის სხივი მას დახედავს აალორძინებს
ყინვებს დაუღნობს, დააყვავილებს ააბიბინებს.

ნინო ორბელიანი.

1859 წ.

Handwritten text in Georgian script, likely a letter or a note, written in a cursive style.

— მამა შენმა მიიღო თავის ერთ-
გულ მეგობრისაგან ერთი წერილი,
რომელშიაც სწერდა, ვითომ გარყე-
ნილ გზას დადგომოდი და სახლი სა-
როსკიოდ გადაგექციოს. რასაკვირვე-
ლია მამა შენი ძალიან გაწყრა და მი-
ბრძანა შენი მოკვლა და შენს სისხლ-
ში ამოვლებილი ხელსახოცის მიტანა
დამავალა.

გატყობ ტყუილად ხარ მამა შენთან
დაბეზლებული. ანეტომ შენს სისხლში
ხელს ვერ გავისვრი. ხელსახოცს ცხვ-
რის სისხლში ამოვავლებ და ნიშნად
იმას მივუტანო; ასეც მოიქცე, ქალი-კი
ტყეში მარტოკა დასტოვა (თექნამი
მიხვდა, მისი ქალი ცოცხალი გადარ-
ჩენილა და გაუხარდა). ქალმა დიდ
ხანს დაჰყო ტყეში. ბოლოს ერთი
ახალგაზრდა მხედარი შეხვდა, რომ-
ელმაც თავის სამეფოში წაიყვანა და
ცოლად შეირთო. (მეფე მიხვდა, რომ
სიტყვა იმას შეეხებოდა და სთქვა:

— ეი, მწყემსო! რა სასიამოვნო
ზღაპარს ამბობ, ვნახოთ, რით დააბო-
ლოვებ.

ვეზირს კი არ ეჭაზნიკა მწყემსის
მოთხრობა და სთქვა:

— ბატონო! ამ საძაგელმა და უფიც
მწყემსმა რა იცის, რა გაეგება; სულ
სიცრუეს ამბობს.

ფარისეველიც ცალკე ეხვეწებოდა
მეფეს:

— უბრძანე, ბატონო! გაჩუმდეს,
ტყუილებს ლაპარაკობსო.

თექნამი, მეფე და მოსამსახურე-კი
ცრემლიანის თვალთ ეხვეწებოდნენ
მწყემსს დაესრულებინა მოთხრობა.

მწყემსმა განაგრძო: რამდენსამე ხანს
შემდეგ მეფე-დედოფალს შეეძინათ
ორი მშვენიერი ვაჟი. ერთხელ, რომ
დესაც ერთი მათგანი ორი წლისა იყო
და მეორე—სამისა, დედოფალმა სიზმა-
რში თავისი მამა ნახა და სიხარული-
საგან ტირილი დაიწყო. მეფემ გაი-
ღვიძა და ტირილის მიზეზი იკითხა,
დედოფალმა უთხრა: დიდი ხანია მამა
არ მინახავს, უნახაობა ძალიან მაწუ-
ხებსო, მეფემ ნება დართო დედოფალს
მამასთან წასვლისა და თან ერთგული
ვეზირი გააყოლა. დედოფალმა თით-
ქმის მიადღია მოგზაურობის მიზანს,
მცირე გზა-ლა იყო დარჩენილი. აქ ვე-
ზირმა სიტყვა გააწყვეტინა მწყემსს,
მეფეს ჩაუვარდა ფეხებში და დაუწყო
ვედრება:

— ბატონო და უფალო ჩემო! უბრ-
ძანე მწყემსს გაჩუმდეს, სიცრუეს ამ-
ბობსო.

მეფემ უბრძანა ვეზირს:

-- თითონ შენ გაჩუმდი, ნუ გვი-
შლი ყურის გდებასო.

შელამებული იყო, განაგრძო მწყემს-
მა, დედოფალს დაეწვეებოდა ეტლის
კარის დაკეტვა და ისე დასძინებოდა.
ვეზირმა ამ შემთხვევით ისარგებლა,
მივიდა დედოფალთან და თავი სთხო-
ვა. პასუხად უარი მიიღო, რომ დე-
დოფალი შეეშინებინა და დაეთანხმე-
ბინა, ორივე შევიღს მის თვალწინ გა-
მოსჭრა ყელი, „თუ კიდევ უარს მე-
ტყვი, მუქარით უთხრა ვეზირმა დე-
დოფალს: „შენც მოგკლავო“. (ამ სი-
ტყვის გაგონებაზე მეფემ ზიზლით
შეხვდა ვეზირს. ის-კი იჯდა ფერმიხ-
დილი და საცოდავად ცახცახებდა).

რა ნახა დედოფალმა საშველი არსად
იყო, უთხრა ვეზირს:

„ამაღამ თავი დამანებე, მომეცი ნე-
ბა ჩემი შვილები დავიტყო, ხვალ-
ღამ შენი ნება იყოსო“.

დაიმედებული ვეზირი წავიდა.

დედოფალს არ სურდა მეფის ლა-
ლატი, ამიტომ შუალამისას, როცა
ყველანი ღრმა ძილში იყვნენ, ჩაიცვა
კაცის ტანისამოსი, გამოვიდა ეტლი-
დან და აჩქარებულის ნაბიციტ გასწია
ტყისაკენ. მეორე დილით დედოფალს
მდეგვები გამოუყენეს, მაგრამ ვერ
იპოვეს: ერთ ქოხში იყო დამალული.
დედოფალმა მას შემდეგ ერთ თვემ-
დის დაჰყო მთებში. ერთხელ მწყემსი
შეხვდა, მიმავალი უთემ ქალაქისაკენ,
სადაც იმის მამა ცხოვრობდა და ჰკი-
თხა:

— შენ ვისი მწყემსი იქნებიო?

— ერთ შეძლებულ კაცის მწყემსი
ვარ, არც ცოლი მყავს, არც შვილიო,
მიუგო მწყემსმა.

დედოფალი მიხვდა, ის ცხვრები
მის მამას ეკუთვნოდა. ქალმა მწყემსს
საკმაო ოქრო აჩუქა, გამოართო ტა-
ნისამოსი და მწყემსობა თითონ დაი-
წყო. რამდენსამე ხანს შემდეგ შეხვდა
თავის მეუღლე-მეფეს და ვეზირს, რომ-
ელნიც დედოფლის საძებნელად წა-
მოსულიყვნენ. მწყემსმა ისინი წამოი-
ყვანა თავის მამის სახლში და ავერ
სამი დღე აქ ბრძანდებოდა. მწყემსი
დედოფალიც მათთან იყო და ყურს
უგდებდა ფარისევლის, ვეზირის და
მეფის მოთხრობებს ვიდრე ჯერი იმა-
ზედაც მიდგებოდა, დადგა მარჯვე
ღრო და მწყემსმა დედოფალმაც სთ-
ქვა თავის თავგადასავალი. ის მწყემსი
დედოფალი მე გახლავარ. ამ სიტყვე-
ბით მოიხადა თავიდან მაგრა ჩამო-
ფხატებული ქუდი და გადმოიშალა
თმები.

მეფემ იცნო დედოფალი, გახარე-
ბული გადაეხვია და დაუწყო კოცნა
და ალერსი. მერე უბრძანა თავის
მხლებლებს, რომ მიერთმიათ დედო-
ფლისათვის შესაფერი ტანისამოსი.
შემდეგ მიუბრუნდა სიმამრს, გადაე-
ხვია და სთხოვა, რომ თვალ-ყური და-
ეკვირა ვეზირსა და ფარისევლებს, არ
გაიპარონო. თითონ კი შეჯდა ცხენზე
და მივიდა უნთემ ქალაქის მეფესთან
უჩვენა იმას სამეფო ბეჭედი და გაე-
ცნო, მეფე დიდის პატივისცემით მიი-
ღო და დაისვა გვერდით. რა მოისმი-
ნა იმისი თხოვნა, უბრძანა ჯალათებს
აემართათ ქალაქის შუა მოედანზე
ორი სახარობელა, რომ ვეზირი და
ფარისეველი ჩამოეხრჩოთ. ამ ნაირად
იქმნენ ბოროტნი დასჯილნი. მეფემ
მცირე ხანს კიდევ დაჰყო უნთემ ქა-
ლაქში და მერე დაბრუნდა თავის სა-
ხელმწიფოში თავის მეუღლით, სიმამ-
რით და მოსამსახურით. იქ იმათ გაა-
ტარეს თავიანთი სიცოცხლე ბედნიე-
რებისა, ერთმანერთის სიყვარულსა
და პატივისცემასი.

ალ. იაკ. ახალციხელი.

მეუამსი დედოფალი

ოსმალურიდან გადმოკეთებული
ზღაპარი
(დასასრული. იხ. ღამათება № 10).

იყო ერთი შეძლებული კაცი და
ჰყავდა ერთად ერთი ასული. მოუხდა
ამ კაცს სხვაგან სავაჭროდ წასვლა.
ცამეტი წლის ქალი ჩააბარა თავის
კარგ მეგობარს. ცოტა ხანს შემდეგ
ქალმა დაატყო, მზრუნველმა მოისურვა
ცული საქმის ჩადენა. ქალი იძულებუ-
ლი გახდა დაეთხოვა მზრუნველი, მა-
მის მეგობარი.

(ამ სიტყვების გაგონებაზე ფარისე-
ველს ფერი ეცვალა და აკანკალდა.

ქალი მოუთმენლად ელოდებოდა
საყვარელ მამის დაბრუნებას. კარგა
ხანმა გაიარა და ერთ დღეს ქალთან
მივიდა მამის მოსამსახურე. ქალის სი-
ხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რად-
გან მისგან შეიტყობდა მამის ამბავს.
(ამ სიტყვების გაგონებაზე მოსამსა-
ხურემ ღმერთას მადლობა შესწირა,
რომ არ შეასრულა ბატონის დავალე-
ბა და სასიკვდილოდ არ გაიმეტა მისი
ქალი) მოსამსახურემ უთხრა ქალსა:

— მოემზადე, წავიდეთ, მამაშენს
სურს გზაზედ მიეგებო“.

ამ რიგად სახლიდან გაიტყუა და
ერთ ტყეში შეიყვანა. იქ ყველაფერი
გულ-ახდილად უთხრა ქალს:

ცაცხვის ქვეშ

ამბავი ინგილოთა ცხოვრებიდან.

შუა გაზაფხულია. საბოქაულოს ეზოში მდგომი სამი უზარმაზარი ცაცხვი მთლად გადაპენტილა და ყვავილად ქცეულა. ეს სამი უზარმაზარი ცაცხვი უხსოვარის დროიდანვე დამკვიდრებულან აქ და ისეთ ნაირად ჩასწვნიან და ჩაპრებიან ერთმანეთს თითქოს ერთი თავკარავიანი თაიგულიაო. მეტადრე ეხლა ამ გაზაფხულზედ, იგი მთლად ყვავილად, წმინდა აიაზმად გადაქცეულა და მისი საუცხოვო სუნენლოვანი ყვავილები ქარვის მტვევებსავეთ გადმოკიდულნი საყვარლად გამოიქტირებიან. და ერთს უზარმაზარს გიგანტიურს თაიგულს მოგაგონებენ. შორს, ძალიან შორს დიდს მანძილზედ მოდებულა მისი კდემა-სუნენლოვანება, და ყველა გამვლელ-გამომვლელს ყნოსვას უტკობს და აამებს. მშვენიერია ეს გიგანტიური თაიგული ამ გაზაფხულზედ, ასე განმარტობით, ტლუდ მდგომარე.

მრავალ დროთა და ჟამთა მოწამენი არიან ეს სამნი ძმანი, მრავალი გულშემზარავი ამბები უნახავთ და მოწამენი გამხდარან. მთელის სოფლისა, ანუ უკეთ, მთელის მხარის ცხოვრების ბოროტსა და აუგს მათ თვალწინ გაუვლია და გადაშლილა. აქ საბოქაულოს ეზოში თავს იყრის ხოლმე ყოველი მომჩივარი—ცხოვრების სიღუბჭირითა და სიაუგით საქმე გაჭირვებული; ბოროტნი და ვერაგნი კიდევ აგერ რამდენიმე ნაბიჯის იქით აშენებულს საპატიმროში არიან მოთავსებულნი. აი დღესაც ცაცხვის ქვეშ ხალხი ირევა, ზოგს რა აქვს საჩივლედი, ზოგს რა. ბოქაულის მოლოდინში, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩამობრძანებულა სახელმწიფო მშვენიერ სახლის მეორე სართულიდან, ხალხი აქა-იქ შეეჯგუფებულა, ზოგი რას ლაპარაკობს, ზოგი რას. ზოგი კიდევ ეზოს მწვანე მდელოზედ წამოწოლილა და ცაცხვის სუნით დამტკბარი უზრუნველად იზმორება და ამთქნარებს.

შორს მათგან განმარტობით კი სდგას კედელს მიყუდებული თინია სულუღაშვილისა, რომელიც მზის ამოსვლისთანავე მოსულა აქა და ბოქაულის ჩამოსვლას ელის. განმარტობით სდგას იგი სახე მოღუშული და მიმ-


კვდარებული, ნამტირალევი თვალები აშკარად მოწმობდა, რომ დიდი უბედურება, დიდი სულიერი ტანჯვა უნდა გამოეველო ამ ადამიანს. იდგა განმარტობით თავჩაკიდული და არც აქეთ იცქირებოდა არც იქით, მხოლოდ დრო გამოშვებით ცალის თვალით გაიხედავდა ხოლმე იმ გრძელ კიბისაკენ, რომელიც სართულს შესდევდა და რომლიდგანაც ბოქაული უნდა ჩამოსულიყო. ხან და ხან ოდნავ ამოიხრებდა ხოლმე და თითქოს ამ ამოიხრებას თან ამოატანდა მთელს თავის ტანჯვა-მწუხარებას, კენესას სუ-

ლისას და ცოტას ხნობით თითქოს გადაეყრებოდა კაეშანი. მაგრამ ჩქარა ისევ მწარე ფიქრებში გაერთობოდა, უცებ შავ ნისლსავით მოაწვებოდა ყოველივე მწუხარება, წარმოუდგებოდა განვლილი უბედურობა და როცა მომავალ გაითვალისწინებდა, გულში თითქოს რალაცა უკბენდა, გაჰკაწრავდა, სახე დაეღარებოდა და უნებურად ისევ დედამიწას მიაშტერებდა ხოლმე დაღვრემილ თვალებს. მაგრამ მწუხარება-კაეშანში გართული დამფრთხალ ნადირსავით ხელ-ახლივ გამოირკვეოდა ხოლმე, რა მოესმოდა

ხმაურობა—ფეხის ხმა გრძელის კიბიდან. მოთმინება ეკარგებოდა, ყოველწუთს ღელვა ემატებოდა, ნექტარი გულის სიღრმეში თითქოს უფრო ძალიან სცემდა და აიარავებდა. დიდი ბოლმა-უბედურება იყო თინიას თავს. სულ ორი სამი დღე იყო, რაც ქმარი, საყვარელი ქმარი, რომელთანაც ისე ბედნიერად და უღარადელად სცხოვრობდა მთელის ათის წლის განმავლობაში, გამოესალმა და მიწას მიაბარა. თავზარ დამცემი იყო ეს უბედურება თინიასათვის, თავზარ დამცემი იყო საყვარელი ქმრის საუ-



მონაწილის გზისკენ.



ჯავახოვის დანგრევა.

გორის განყოფილება



კუნოდ გამოძვირდება, რომელიც სრულიად მოულოდნელად ტყეში ხემ დაიტანა და საწყალმა თინამ ვერც კი მოახერხა ცოცხლივ მას გამოძვირება, ისე მოულოდნელი და ანაზღაურელი იყო ეს უბედურება მისთვის. თინა გამსჯელი დედაკაცი იყო, ობლებს მშიერს არ გაუშვებდა და უმამობას არ შეამჩნევინებდა, მაგრამ უბედურობა ამაში არ იყო. ვერც კი მოასწრო თინამ ქმრის დამარხვა, რომ მაშინვე მაქანკლები გაჩნდნენ და მგლოვიარე თინას თხოვნა დაუწყეს*) ჯერ კიდევ სახლისათვის არ მოეშორებინათ მკვდარი, რომ იქვე მეორე ოთახში ურცხვად ლაპარაკობ-ვაჭრობდნენ და თვით მგლოვიარე თინასაც კი არ ერიდებოდნენ. თინამ მოჰკრა ყური და ამ ახალმა ლახვარმა მწუხარება უფრო გაუორკეცა და ჩათუთქა. ვინ იყო თინას პატრონი, დედამამ მას არა ჰყავს, მაზლის ამარაა დარჩენილი. მაგრამ მშობლები რომ ცოცხალი ყოფილიყვნენ ესევე არ მოიქცეოდნენ? მაზლი, რასაკვირველია, მოხარული იყო, რომ იმავე დღეს მოეშორებინა თავიდან რძალი და კარგა ფულიც აეღო მისი გათხოვებით**).

ასე არა ფიქრობდა თინა. ის შეგნებულ დედაკაცად ითვლებოდა, ამაყი, თავმოყვარე ქალი იყო, ამასთანავე სოფლის სკოლაშიც მიეღო სწავლა და იმ კეთილსა და გონიერ მასწავლებელ ქალის გავლენის ქვეშ იყო, რომელიც სწორედ მფარველი ანგელოზსავით მოველინა მთელს სოფლის დედაკაცებს და მართო მასწავლებლობას კი არ უწევდა სოფელს, არამედ მუდმივი დარიგებით და ყოფილ მოწაფეებთან დამოკიდებულებით ცდილობდა ნათელი შეეტანა ადგილობრივ მცხოვრებლებში და ის ველური და პირუტყული ჩვეულებანი, რომელნიც არსებობდნენ სოფელში მოესპო და აღმოეხერხა. ის დიდი მოსარჩლე და ქომაგი იყო დაჩაგრულ დედაკაცებისა, სიყვარულით ექცეოდა მათ, მუდმივი ქსელი იყო გაბმული სკოლისა და ყოფილ სკოლის შეგირდებთან და ამიტომ აღმერთებდნენ, თავყანსა სცემდნენ მას სოფელი დედაკაცები. ის ასწავლიდა და უნერგავდა მათ იმ მცნებას, რომ ქალებიც ადამიანები არიან და მათაც პირუტყვულად არავენ უნდა ექცეოდეს. აი ამ მასწავლებელ ქალის გავლენის ქვეშ იყო ბუნებით ამაყი, თავმოყვარე და ოჯახისთვის თავდადებული თინა.

მოჰკრა თუ არა ყური ქმრის სიკვდილის მეორე დღესვე თინამ მაზლის ფულს იღებენ, ეს ჩვეულება ისპობა ეხლა.


სიტყვებს, მაშინვე ცივი უარი განაცხადა.
— მე ჩემი ქმრის კერიდგან ფეხს არსად მოვიცვლი, ჩემი ქმრის ხსოვნას და ჩემს შვილებს უნდა შევსწირო ჩემი სიცოცხლე.
— ჩინ ადათ ევეთ კეთდების, ქალ დაქვრივების თუ არა იმის ტყუილად ყოფნა არ იქნების, უნდა ახალს კაცს შეეყაროს, სხვათა ოჯახს ემსახუროს.
— მე ჩემს გადაწყვეტილებას ვერავენ გადამათქმევენებს და ძალითაც ვერავენ გამათხოვებს, მკვახელ უპასუხა თინამ.
— ვნახოთ თუ ვერ გაგათხოვებთ, მაშინ მე კაცი აღარ მერქვის და ქუდი აღარ მენურის.
ამის შემდეგ გამწვავდა დამოკიდებულება რძალსა და მაზლს შორის, მუდმივი ბუზღუნი, მუდმივი უსიამოვნობა, უსიამოვნობა, რომელიც ხშირად ლანძღვად იქცეოდა ხოლმე დაუსრულებელი და გაუთავებელი გახდა, რაკი ერთხელვე უარი ამოსთქვა თინამ და მაზლიც თავისას არ იშლიდა, თინა უბედურს მდგომარეობაში ჩავარდა. და განა შესაძლებელი იყო სხვა მდგომარეობა, თინას საყვარელი ქმარი მოუკვდა უცაბედად და მოულოდნელად, ის ქმარი, რომელნიც სიყვარულით და სასიამოვნო ცხოვრებით ვერც კი გამძღარიყო. მაგრამ უბედურმა შემთხვევამ ჩაუმწარა სიცოცხლე, მეხი დაეცა მის ბედნიერებას და ყველა ეს ისე უცებ მოხდა, რომ თინა ჯერ კიდევ ბურანში იყო, ჯერ კიდევ ვერ

გამორკვეულიყო და შეგირდებთან ერთად ცა ამ უბედურობის სიძულვილს განუთხრო იყო მისი მწუხარება, ათას წაირად იფათრებოდა მისი გული, თვალბზედ ცრემლები არა შრებოდა. და აი ეხლა როცა ამ საყვარელი არსების სამარე ჯერ კიდევ არ გამშრალიყო, ჩასცივებოდნენ და უჩიჩინებდნენ: გინდა თუ არა გათხოვდიო, თითქოს ნადირიპირუტყვი იყვეს, თითქოს მასში ადამიანური გრძობა საყვარელის არსებისადმი წაშლილიყვეს და ამოფხვილიყვეს.
თინა, ისე არ უცქეროდა ადამიანთა ურთიერთობას, როგორც მის გარეშე მომყოფნი, გულზედ სკდებოდა, როცა მაზლი გაახსენებდა გათხოვებას და ლობიერად უპასუხებდა.
— რა გინდათ ჩემგან! ერთი ლუკმა გშურთ ჩემთვის? მე იმდენს საქმეს გავაკეთებ სახლში, რომ ლუკმას არავის დავიყუდრიანებ, ბავშვებს რაც შეეხება თქვენ უიმისოდაც მოვალენიხართ პური აჭამოთ და უპატრონოთ.
ყოველ ასეთის ლაპარაკისა და უსიამოვნობის შემდეგ თინას გული ამოუჯდებოდა ხოლმე და ტირილსა და ცრემლებს ღვრას მოჰყვებოდა. საწყალი ბავშვებიც რა დანახავდნენ მტირალს დედას, მიეხვეოდნენ შეშინებულებით და დაღვრემილი შესტკეროდნენ გულმკვდარს დედას. აუტანელი ხდებოდა თინას ცხოვრება მაზლის სახლში.
ზ. ვილი.
(დასასრული იქნება)

*) საინგილოში ქალს მოუკვდება თუ არა ქმარი, აღარც კი აცლიან ქმრის გამოგლოვებას და ხელდახელ მეორედ ათხოვებენ, რაიც ქალების საშინელის სიმცირით აიხსნება.
**) ინგილოები გათხოვილ ქალებში



სოციალიზმი 1905 წელს.



სოციალიზმი 1915 წელს.



იოსებ ბარათაშვილი.